№2556 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) წინაშე დაისვა საკითხი სსიპ - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის, ყვარლის და ამბროლაურის წარმომადგენლობების ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის სამინისტროსათვის 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემული შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ (შემდგომში - კომპანია) მიერ მომზადებასთან დაკავშირებით.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სსიპ - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისათვის უკვე გადაცემულია ოზურგეთის და ყვარლის წარმომადგენლობებისათვის საჭირო შესაბამისი შენობა-ნაგებობები და მიმდინარეობს ამბროლაურის წარმომადგენლობისათვის საჭირო, შესაბამისი შენობა-ნაგებობის გადაცემის პროცედურები.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, კომპანიამ უზრუნველყოს სსიპ - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ყვარლის და ოზურგეთის წარმომადგენლობების ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და მასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საქონლის შესყიდვა, ხოლო ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ამბროლაურის წარმომადგენლობისათვის საჭირო შესაბამისი შენობა-ნაგებობის გადაცემის პროცედურების

დასრულების შემდეგ, კომპანიამ უზრუნველყოს ამბროლაურის წარმომადგენლობის ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და მასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საქონლის შესყიდვა.

4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, კომპანიამ ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

5. სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისა და კომპანიის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 200 000 (ორასი ათასი) ლარის მოძიება და კომპანიისათვის გადარიცხვა;

ბ) კომპანიის კაპიტალის გაზრდა გადარიცხული თანხის ოდენობით.

6. კომპანიამ უზრუნველყოს სამინისტროსათვის ინფორმაციის მიწოდება გადარიცხული თანხის ხარჯვის შესახებ ან სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.

7. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასრულების შემდეგ, კომპანიამ განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის სსიპ - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისთვის გადაცემის უზრუნველსაყოფად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**